ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №93
კლასიფიკატორის კოდი: 92312200 - მწერლების, კომპოზიტორების, მოქანდაკეების, ესტრადის მსახიობების და მხატვრების მიერ გაწეული მომსახურებები

ქ. თბილისი

22 დეკემბერი, 2015 წელი

პრეამბულა

2015 წლის 17 დეკემბრიდან 28 დეკემბრამდე ა(ა)იპ „თბილისის მედიათეკების გაერთიანების" ვაკისა და ვარკეთილის ფილიალებში ხორციელდება საახალწლო შემეცნებით-შემოქმედებითი და საგანმანათლებლო აქტივობების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 26 დეკემბერს ტარდება დასკვნითი საღამო ვარკეთილის ფილიალში, შეჯამდება წლის მუშაობა. მედიათეკა თანხმობას აცხადებს პროექტის განხორციელების მიზნით უზრუნველყოს შესაბამისი პირების პროექტში ჩართულობა, რის საფუძველზეც იდება წინამდებარე ხელშერულება.

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ ქ. „თბილისის მედიათეკების გაერთიანება" წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინე ჭოღოშვილის სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორე მხრივ, ფ/პ რუსუდან თუშიშვილი (შემდგომში „შემსრულებელი") პ/ნ 01008040816, მის:თბილისი, ცხრა ძმის ქუჩა 80, ტელ:555455859) სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში გასამართი წლის შემაჯამებელი საღამოს (26.12.2015 ვარკეთილის ფილიალში) წამყვანის მომსახურების შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **250 (ორას ორმოცდაათი)** ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.3. დაფინანსების წყარო: ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი.
2.4 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1 მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.
3.2 მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, 1-ლი მ/რ ჯავახეთის სკვერი.

4. მიწოდებული ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ქ.თბილისის მედიათეკების გაერთიანების დირექტორი მარინე ჭოღოშვილი.
5.2 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6.ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

6.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
6.2 მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების ანგარიშს მხარეთა მიერ ხელმოწერილი შედარების აქტების საფუძველზე. შემსყიდველის ვალდებულია აანაზღაუროს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ღირებულება უნაღდო ანგარიშსწორების წესით მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისის) წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 საბანკო დღისა.
6.3. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
7.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
7.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. სხვა პირობები

9.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

10. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქ.თბილისის მედიათეკების გაერთიანება მის. ჭავჭავაძის გამზ.76 სახელმწიფო ხაზინა TRESGE22 ს/კ-404967087	ფ/პ რუსუდან თუშიშვილი მის: თბილისი, ცხრა ძმის ქუჩა 80 პ/ნ 01008040816 LBRTGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	GE52LB0711186534635000
დირექტორი	მოქალაქე
მარიხე ჭოღოშვილი	რუსუდან თუშიშვილი